

მიმწოდებლის კურნალში ხელშეკრულების რეგისტრაციის თარიღი და ნომერი:

ქ. თბილისი

„-----“ 20 ---წ.

**ხელშეკრულების მხარეები**

ერთის მხრივ ს/ს „ენერგოკავშირი“ შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული, მისი გენერალური დირექტორის ვაჟა მაისურაძის სახით და მეორეს მხრივ მოქალაქე: ----- მისამართი:-----

აბონენტის ნომერი: ----- შემდგომში „მომხმარებლად“ წოდებული, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი და ვადები.**

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი“ ვაღდებულება მიაწოდოს ბუნებრივი გაზი „მომხმარებელს“ მისამართზე: -----

**20—წ. — — — — დაწ 20—წ. — — — — ჩათვლით** საკუთარი მოხმარებისათვის, ხოლო „მომხმარებელი“ ვაღდებულება მიიღოს ბუნებრივი გაზი და გადაიხადოს საფასური ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. თუ ხელშეკრულების მხარეები ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 3 დღით ადრე არ გამოთქვამენ სურვილს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, იგი ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო ერთი წლის ვადით.

მომხმარებელი ვაღდებულება გადაიხადოს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე **ფაქტიური მიწოდების დღიდან** გახარჯული ბუნებრივი აირის ღირებულება

**2. აღრიცხვის და მიწოდების პირობები**

- 2.1. „მიმწოდებლის“ მიერ „მომხმარებლისათვის“ მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებს.
- 2.2. მიწოდებული ბ/გაზის ფაქტიური მოცულობის აღრიცხვა ხდება აღრიცხვის ხელსაწყოების მეშვეობით, რომლის მორიგი და რიგგარეშე შემოწმების თანხის გადახდა ხდება სემეკის მიერ დადგენილი წესებით და პირობებით.
- 2.3. „მომხმარებლის“ მიერ გაზის მოწოდების თვითნებურად მიერთების, მრიცხველის ბრჯენის დაზიანების, ციფრული მანქანების გაყალბების, ბუნებრივი გაზის დატაცების, მათ შორის მრიცხველის გვერდის ავლით ბუნებრივი გაზის არასანქცირებული მოხმარების შემთხვევაში, უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობა დაანგარიშდება საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

**3. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

**3.1. „მიმწოდებელი“ ვაღდებულება:**

„მომხმარებელს“ მიაწოდოს ბუნებრივი გაზი უწყვეტლევ საშუალო დღე-ღამური ნორმის ფარგლებში.

**3.2 „მომწოდებელს“ უფლება აქვს:**

- 3.2.1. „მომხმარებელს“ შეუძლია ან სრულიად შეუწყვიტოს ბუნებრივი გაზის მიწოდება და ამასთანავე, მოიხსნას პასუხისმგებლობა შემდეგ შემთხვევებში:
  - 3.2.1.1. „მომხმარებელი“ არ ასრულებს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილ წესებს და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვაღდებულებებს;
  - 3.2.1.2. ადგილი აქვს დაუძლეველ ძალას, ფორს-მაჟორის მდგომარეობას, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია და რეალურად ხელს უშლის ბუნებრივი გაზით მომარაგებას;
  - 3.2.1.3. საჭიროა დაგეგმილი ან ავარიული სარემონტო სამუშაოების ჩატარება.
  - 3.2.1.4. „მომხმარებლის“ მიერ „მიმწოდებლის“ წარმომადგენლის მრიცხველთან არ დაშვების და ბუნებრივი გაზის საფასურის გადაუხდელობისას;
- 3.2.2. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს დაუყონებლივ შეუწყვიტოს „მომხმარებელს“ გაზის მიწოდება, თუ:
  - 3.2.2.1. საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მის ქონებას;
  - 3.2.2.2. ადგილი აქვს უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევას, ან/და გაზის ხელსაწყოების გამოყენება ქმნის ზიანის მიყენების რისკს;
  - 3.2.2.3. „მომხმარებლის“ მიერ ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარებისას.

**3.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:**

- 3.3.1 ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების გამო ქსელიდან ჩახსნილ მომხმარებელს, ბუნებრივი გაზით მომარაგების აღდგენისათვის, მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარდა, მოთხოვოს ქსელიდან ჩახსნისა და მიერთებისათვის გაწეული აუცილებელი და საჭიროების შემთხვევაში მრიცხველის გამოცვლის ხარჯების გადახდაც.

- 3.3.2. უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის გამო ქსელიდან ჩახსნილი მომხმარებლისათვის გაზის მიწოდების აღდგენისათვის, „მიმწოდებელს“ უფლება აქვს მოითხოვოს ქსელიდან ჩახსნისა და მიერთებისათვის გაწეული ხარჯების გადახდა.
- 3.3.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს იმ დრომდე არ გაუწიოს მომსახურება „მომხმარებელს“, სანამ არ იქნება დაფარული დავალიანება ან მიღწეული შეთანხმება დავალიანების სრულად დაფარვაზე.

**4.4 „მომხმარებელი“ ვალდებულია:**

- 4.4.1. მიიღოს ბუნებრივი გაზი საშუალო დღე-ღამური ნორმის ფარგლებში.
- 4.4.2. დაიცვას გაზის მეურნეობაში მოქმედი უსაფრთხოების, ტექნიკური ექსპლუატაციის, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების მოწყობის წესები და სტანდარტების მოთხოვნები;
- 4.4.3. მომხმარებელი ვალდებულია გააკეთოს განაცხადი მიმწოდებელთან ახალი აგრეგატის ჩართვაზე;
- 4.4.4. გაზის მოხმარების, საკუთარი ინიციატივით შეწყვეტის შესახებ აცნობოს მიმწოდებელს სათანადო რეაგირებისათვის ერთი დღით ადრე;
- 4.4.5. დაუყონებლივ აცნობოს მიმწოდებელს ხარჯთაღმრიცხველი ხელსაწყო ან მოწყობილობა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის თაობაზე;
- 4.4.6. დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაუშვას „მიმწოდებლის“ წარმომადგენელი, პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ, ბ/გაზის აღმრიცხველი ხელსაწყოების ან სხვა საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესამოწმებლად ან სამუშაოს შესასრულებლად.

**5 . ანგარიშსწორება**

- 5.1. „მომხმარებელი“ მოხმარებულ ბუნებრივ გაზზე, ყოველ 1 (ერთ) კუბურ მეტრზე გადაიხდის 50,5 თეთრს დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.
- 5.2. წინამდებარე ფასი შეიცვლება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. შეთანხმება ფასის შეცვლის შესახებ გაფორმდება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებაზე შესაბამისი დამატების სახით.
- 5.3. „მომხმარებელი“ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულებას გადაიხდის ქვითრის გამოწერის მომენტიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

**6. განსაკუთრებული პირობები**

- 6.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა სადაო საკითხი გადაწყდება მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერ დავას (გარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ საქმეებისა, რომელსაც განიხილავს სასამართლო კანონმდებლობით დადგენილი წესით) მათ შორის დავას „მომხმარებელი“-ს მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის გადასახადის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადაუხდებლობასთან დაკავშირებით, განიხილავს კერძო არბიტრაჟი, რომელსაც ირჩევს მოსარჩელე მხარე, დავას განიხილავს ერთი არბიტრი, რომელსაც ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი.
- 6.2. ამ ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაფორმებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.
- 6.3. ყველა ის ურთიერთობა, რაც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 6.4. „მომხმარებლის“ მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარების წესების დარღვევის შემთხვევაში „მომხმარებლის“ მიმართ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები.
- 6.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ერთ ეგზემპლარი გადაეცემა „მომხმარებელს“ მეორე „მიმწოდებელს“.

**7. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები**

**„მიმწოდებელი“**

ს/ს „ენერგოკავშირი“

მის: მუხიანის დას. I-მ/რ; მე-5 კორპ;

ბანკის დას. საქართველოს ბანკი

ბ/კოდი: 220101502 ა/ა 005609210

ს/კ 200095887

ტელ: 64-28-69

**„მომხმარებელი“**

მომხმარებლის სახელი და გვარი

პირა №, სერია-----

მისამართი. -----

აბონენტის ნომერი -----

ტელ: